# საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

## (2023 წლის მარტი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის მარტის თვეში.

### საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №150

2023 წლის 3 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №12-ით 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის 13[1] მუხლი, მე-17 მუხლი (სარეგისტრაციო ნიშნები, მათ გაცემის წესი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული პროგრამის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 310150000.22.034.017340

ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ამოქმედდა 2023 წლის 7 მარტიდან.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №98

2023 წლის 7 მარტს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №896-ით „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში შევიდა ჩვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„თ) ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტითა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წერილობით გააფრთხილონ მოწმეები, რომ მათი მხრიდან ცრუ ინფორმაციის მიწოდება ისჯება სისხლის სამართლის წესით. მოწმემ ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ გაეცნო და ეთანხმება გაფრთხილების ტექსტს;“.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.22.027.017386

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

## სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ბრძანება №1

2023 წლის 8 მარტს ბრძანება №1-ით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულება.

ზემოაღნიშნული ცვლილების დებულების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 040030000.81.094.016001

ბრძანება, გარდა წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“-„ზ“ ქვეპუნქტებისა, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„პ“ ქვეპუნქტებისა, მე-6 მუხლის „ვ“-„თ“ ქვეპუნქტებისა, მე-9 მუხლის „ი“-„ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-12-მე-14 მუხლებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“-„ზ“ ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„პ“ ქვეპუნქტები, მე-6 მუხლის „ვ“-„თ“ ქვეპუნქტები, მე-9 მუხლის „ი“-„ლ“ ქვეპუნქტები და მე-12-მე-14 მუხლები ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2023 წლის 13 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №74-ით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3); „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №7) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017668

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 9 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამავე ბრანებაში 2023 წლის 16 მარტს №80 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017669

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

ამავე ბრანებაში 2023 წლის 20 მარტს №89 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) 36-ე მუხლის შემდეგ დაემატა „თავი VII პირის დაშვება TIR პროცედურაზე“:

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017673

ბრძანება ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/172

2023 წლის 14 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/96-ით „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-10 მუხლი (სახელმწიფო ქონების შემძენის პასუხისმგებლობა პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში) და მე-12 მუხლი (სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების პასუხისმგებლობა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040110030.22.024.016786

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ; №119/ნ

2023 წლის 17 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ნ-ით „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, 2022 წლის 8 ნოემბრის №119/ნ ბრძანების მეორე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„2. ამ ბრძანების პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I და II კლასებისთვის ამოქმედდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

ბ) მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

გ) მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I და II კლასებისთვის ამოქმედდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდება 2024 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2026 წლის 15 სექტემბრიდან და ა.შ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018274

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №28/ნ

2023 წლის 17 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №20/ნ-ით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის:

1. ,,გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარი (გარეკანის გარეშე) იმ სახით, რომლითაც გამოირიცხება საავტორო უფლების მფლობელის ან/და ავტორის იდენტიფიცირება;“.

2. „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში – ზოგადი განათლების ამ საფეხურზე მასწავლებლად მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატვირთული ელქტრონულად) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ერთი ავტორის მიმართ,



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ხოლო ერთზე მეტი ავტორის არსებობის შემთხვევაში, არანაკლებ 2 ავტორის მიმართ. ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში – ზოგადი განათლების შესაბამის საფეხურზე მასწავლებლად მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი სახელმძღვანელოს/სერიის არანაკლებ 1 ავტორის მიმართ (ატვირთული ელექტრონულად). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ჭადრაკისა და უცხოური ავტორის/გამომცემლობის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში ამ სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების ავტორებზე.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018275

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №09/ნ

2023 წლის 17 მარტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №23/ნ-ით „სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №09/ნ ბრძანების დამტკიცებულ „სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების წესში“ შეტანილ იქნა ცვლილება და (დანართი №1)-ით ჩამოყალიბდა სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, სწავლების, ტესტირების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტის გაცემის პროცედურა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016023

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 აპრილიდან.



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №101

2023 წლის 27 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №101-ით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ[1]“ და „ბ[2]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის იმავე კოდექსით განსაზღვრული დებულებების საქართველოს საჯარო სკოლებსა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე/სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულებებზე (შემდგომში – ორგანიზაციები) გავრცელების მიზნით, ორგანიზაციები ეტაპობრივად გადაყვანილ იქნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახურის (შემდგომში – სახაზინო სამსახური) მომსახურებაზე და კომერციული ბანკების ანგარიშებიდან მათი თანხები გადატანილ იქნა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში, ამ ბრძანების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 190040000.22.033.017674

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 აპრილიდან.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 28 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №108-ით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“) III ნაწილი ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით.

2. 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ჰ[5]– ჰ[7] “ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[5]) 67-ე უჯრაში – ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშო თვის ბოლოსთვის, გარდა ამავე პუნქტის „ჰ6“ ქვეპუნქტში მითითებული თანხისა

ჰ[6]) 68-ე უჯრაში – ანგარიშვალდებული პირების მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის;



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

3[7]) 69-ე უჯრაში – 68-ე უჯრაში გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ პირთა რაოდენობა.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017676

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-2

2023 წლის 28 მარტს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-2-ით ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი (2022 წლის გამოცემა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) (შემდგომ – პროფესიული ეთიკის კოდექსი).

ამ ბრძანებით გათვალისწინებული პროფესიული ეთიკის კოდექსი განთავსდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე (www.saras.gov.ge).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 350080000.64.076.016118

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №84

2023 წლის 28 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 17 მარტის №84 ბრძანება.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 190040000.22.033.017677



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს მთავრობის დადგენილება №241

2023 წლის 10 მარტს საქართველოს მთავრობის დადგენილება №97-ით საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მე-3 მუხლის: „ზ“ ქვეპუნქტი (მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობა (პორტფოლიო) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 190040000.22.033.017677

დადგენილება, გარდა ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-15 პუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების პირველი მუხლის მე-15 პუნქტის მოქმედება გავრცელდა 2022 წლის 15 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2023 წლის 10 მარტს ამავე დადგენილებით საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მე-3 მუხლის (ტერმინთა განმარტება); მე-8 მუხლი (წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტისსრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430050000.10.003.023930

დადგენილება, გარდა ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-15 პუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების პირველი მუხლის მე-15 პუნქტის მოქმედება გავრცელდა 2022 წლის 15 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

## მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დადგენილება №2



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 13 მარტს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დადგენილება №1-ით“ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 4 სექტემბრის №2 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი – ლტოლვილის სტატუსის დადგენის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ბინადრობის მოწმობა.“.

2. 53-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო, უფლება აქვს 2024 წლის 31 დეკემბრამდე მიმართოს სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით.“.

3. 54-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს მოქალაქეს, რომლის მიმართაც 2018 წლის 15 აგვისტომდე არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგვის შესახებ, უფლება აქვს, 2024 წლის 31 დეკემბრამდე მიმართოს სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010110000.69.081.016006

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს მთავრობის პარლამენტის დადგენილება

2023 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლებისთვის)“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.09.001.016729

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

## საქართველოს მთავრობის დადგენილება №41

2023 წლის 30 მარტს საქართველოს მთავრობის დადენილება №131-ით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ 903.2.8 ქვეთავი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„903.2.8. ჯგუფი სც. სც ჯგუფის დაკავებულობები მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს 903.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

გამონაკლისი:

1. სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ.

2. 2028 წლის 1 აპრილამდე სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი მაღლივი შენობის საცხოვრებელ ერთეულებში (ბინებში) ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება აუცილებელი არ არის.

3. ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი შენობები.

903.2.8.1. სც-3 ან სც-4 ჯგუფის საცხოვრებლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მარტოხელა მოხუცებისთვის. 903.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემა დასაშვებია სც-3 ან სც-4 ჯგუფის საცხოვრებლებში, სადაც იმყოფება 16 ან 16-ზე ნაკლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მარტოხელა მოხუცი.

903.2.8.2. მოვლა-მზრუნველობის დაწესებულებები. 903.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემა დასაშვებია მოვლა-მზრუნველობის დაწესებულებებში, სადაც ერთი ოჯახის საცხოვრებელში იმყოფება 5 ან 5-ზე ნაკლები პირი.“.

ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300160070.10.003.023964

დადგენილება ამოქმედდა 2023 წლის 1 აპრილიდან.



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

Legal Consulting Center LLC
*Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia*
*N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia*
*ID: 445392227*
*www.legalconsulting.ge*
*info@legalconsulting.ge*